გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გავლენა ქალთა კარიერულ წინსვლაზე საქართველოს ფინანსურ სექტორში

გვანცა მიქელაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, განათლებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება: მენეჯმენტი

ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ყაველაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გვანცა მიქელაძე, 19.06.2025

აბსტრაქტი

გენდერული თანასწორობა თანამედროვე მსოფლიოში, როგორც გლობალურად, ასევე ლოკალურ დონეზე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პრიორიტეტულ გამოწვევად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ კანონმდებლობისა და პოლიტიკის დონეზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, პრაქტიკაში ქალთა პროფესიულ განვითარებაში კვლავ შეინიშნება სქესობრივი დისბალანსი, განსაკუთრებით ფინანსურ სექტორში. მოცემული სამაგისტრო ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს, როგორ მოქმედებს გენდერული თანასწორობის პოლიტიკა ქალთა კარიერულ წინსვლაზე საქართველოს ფინანსურ ინსტიტუტებში. კვლევა ეფუძნება როგორც ნორმატიული დოკუმენტების ანალიზს, ისე ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის მონაცემებს.რაოდენობრივ კველვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ფინანსურ სექტორში მომუშავე ქალებმა და კაცებმა.რაოდენობრივი კითხვარი ისე იყო შედგენლი,რომ შეფასებულიყო არსებული ინიციატივების ეფექტიანობა და გამოვლენილიყო ძირითადი ბარიერები.კვლევის შედეგად გამოვლენილი ძირითადი ბარიერები იყო გენდერული სტერეოტიპები, პატრიარქალური კულტურა, „შუშის ჭერის“ ეფექტი და ორგანიზაციულ პრაქტიკაში გენდერული მგრძნობელობის ნაკლებობა. მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები მიზნად ისახავს გენდერული პოლიტიკის ეფექტიანი დანერგვის ხელშეწყობასა და ქალთა კარიერული წინსვლის ხელშემწყობი გარემოს შექმნას საქართველოს ფინანსურ სექტორში.

ძირითადი საძიებო სიტყვები:გენდერული თანასწორობა,პოლიტიკა,ქალთა კარიერული წინსვლა.საქართველოს ფინანსური სექტორი

Abstract

Gender equality remains one of the most significant and prioritized challenges in the modern world, both globally and at the local level. Despite the fact that Georgia has taken important steps at the legislative and policy levels to ensure gender equality, in practice, gender imbalance in women's professional development still persists—particularly in the financial sector.

The aim of this master's thesis is to examine how gender equality policies influence women's career advancement within financial institutions in Georgia. The research is based on both the analysis of normative documents and the data obtained from a quantitative survey. The quantitative study involved both women and men employed in Georgia's financial sector. The survey questionnaire was designed to assess the effectiveness of existing initiatives and to identify the main barriers to women's career progression.

The key barriers identified through the research include gender stereotypes, patriarchal culture, the "glass ceiling" effect, and the lack of gender sensitivity in organizational practices. The conclusions and recommendations presented aim to support the effective implementation of gender policies and to foster an environment conducive to women's career advancement in Georgia's financial sector.

Keywords: gender equality, policy, women's career advancement, Georgia's financial sector